



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 140

ქ. გარდაბანი

29/12/2021

140-06-4-202112291727



**შპს „ოლმონტ ინვესთმენტ თბილისი“- სთვის მის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე
სამრეწველო და ბიზნეს პარკის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური
გეგმის შემუშავების ინიცირების შესახებ**

საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 43-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 17 დეკემბრის N18-182135160 მომართვის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

შეთანხმებულ იქნას გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების ტერიტორიაზე

შპს „ოლმონტ ინვესთმენტ თბილისი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.81.07.14.112 და 81.07.14.113) სამრეწველო და ბიზნეს პარკის მშენებლობის მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირება.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ.რუსთავი ბოსტანქალაქის ქ.N6) საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე